# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— პარასკევი, 28 იანვარი 1900 წ. № 1028.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელთაუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა: 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

ტელეფონი № 372 — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“—„Моамбэ“



## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| „მოამბე“ (წელიწადი მეშვიდე) | „ცნობის ფურცელი“ (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში | გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში: 1 წლ. 10 მ., 6 თვ. 6 მ., 3 თვ. 4 მ. | რუსეთის და კავკასიის ქალაქებში: 1 წლით 6 მან., 1 თვით 75 კაპ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში: 13 მ., 7 მ., 5 მ. | სამზღვარ გარეთის ქალაქებში: 7 მან, 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ჟურნალი „მოამბე“ და გაზეთი „ცნობის ფურცელი“ უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთ დაეთმობათ წელიწადში **6** მანეთად და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს **8** მანეთად.

ვინც „მოამბეს“ ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა. წლიური ფასი განიყოფება ასე: პირველად —**5** მანეთი, 1-ლ აპრილამდე—**3** მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—**2** მანეთი.

## ქართული თეატრი

**კვირას, 30 იანვარს,**

**სააბალოსნო სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

## სკაპენის ცუღლუტობა

**კომედია 3 მოქმ., თხზულება მოლიერისა. თარგმ. ა. წერეთლისა**

## ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ

**ვოდევილი 2 მოქმედებად, გადმოკეთებული რ. ერისთავისაგან**

მოთამაშენი: ქ.-ბ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძე, გარელი, აბხაზიშვილი; ბ-ნები: მესხი, სვიმონიძე, გედევანიშვილი, შათირიშვილი ადამიძე, იმერიძე და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.**

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

**ხუთშაბათს, 3 თებერვალს, ბენეფისი ბ-ნი სვიმონიძისა.**


## მთავრობის განკარგულებანი

### უმაღლესი ბრძანება

ხელმწიფე იმპერატორმა, სახალხო განათლების მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენების თანახმად, 26 ოქტომბერს 1899 წელს, უმაღლესად გთიელ ინება, რომ თელავის საქალაქო სამ კლასიან სასწავლებელში დაარსებულ იქმნას სტიპენდია გარდაცვალებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მე-III სახელობაზე იმ ოთხასი მანათის პროცენტებიდან, რომელიც შესწირა სკოლას ამავე სკოლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებამ.

### ბრძანება სამიწად-მოქმედო სამინისტროს.

ეკატერინოდარის საოლქო სასამართლოს ტემრიუკის განყოფილების მეორე ნაწილის გამომძიებელი ნადვ. სოვეტნიკი სარაჯიშვილი დაინიშნა განჯის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობის სასამართლო საქმეთა უფროს რწმუნებულად.

## ახალი ამბავი

✦ ახალქალაქის მაზრაში დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოუწირავთ დღემდის 140 ათასი მანეთი. შემოწირულება უკანასკნელ დროს მოდის რუსეთიდან და ციმბირიდანაც.

✦ ახალქალაქის მაზრაში მომხდარ მიწის ძვრის დროს სულ დაღუპულა 2570 სული საქონელი. კომიტეტს გარდაუწყვეტია დასწვას ეს საქონელი. თითო სულის დაწვა დაჯდება 1 მანეთი.

✦ ახალქალაქის დაზარალებულ სოფლებისთვის, კომიტეტის გარდაწყვეტილებით, მოწვეულ იქნება **საგანგებო ექიმი**, რომელმაც მარტო დაზარალებულთ უნდა უგდოს ყური.

✦ ახალქალაქის დაზარალებულ სოფლებში და აგრეთვე იმ სოფლებში, სადაც თავი შეაფარეს დაზარალებულებმა, კომიტეტის გარდაწყვეტილებით, უნდა გაიხსნას **უფასო სასადილოები**.

✦ მიწად მოქმედების მინისტრს დაუმტკიცებია ტფილისის საბალოსნო სკოლის გამგის თანამდებობის აღმასრულებლად ბ-ნი **პრიტულენკო**.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს გაუგზავნია ამ დღეებში ანგარიში **ტფილისის საბაღოსნო სკოლის მდგომარეობისა** გასული წლის განმავლობაში. სხვათა შორის ანგარიშიდან სჩანს, რომ საანგარიშო წელს სკოლაში სწავლობდა სულ 78 ყმაწვილი, მათგან: ქართველი — 33, სომეხი — 29, რუსი — 9, პოლონელი — 3, აფხაზი — 3 და ოსი — 1. სულ სკოლაზე საანგარიშო წელს დახარჯულა 23,728 მანეთი.

✦ კვირას, 30 იანვარს, ქართული დრამატიულ საზოგადოების დასი გამართავს ქართულ წარმოდგენას ტფილისის **საბაღოსნო სკოლის ღარიბ მოწაფეთა** სასარგებლოდ. დადგმული იქნება „სკაპენის ცუღლუტობა“ და „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროში აღუძრავთ კითხვა შესახებ გლეხის წოდების **უკანონოდ შობილის** მდგომარეობის გაუმჯობესობისა. განზრახვა აქვთ ქორწინებამდე დაბადებულთ მისცენ ყველა ის უფლება, რომელიც ქორწინებაში დაბადებულთ აქვთ.

✦ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შეუმუშავებია ახალი პროექტი **სახაზინო მიწების იჯარით გაცემისა**. ეს პროექტი ცოტათი სცვლის აწ არსებულს წეს-რიგს ამ საქმისას. პროექტი უკვე წარედგინა დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს.

✦ მთავრობას გარდაუწყვეტია **სასოფლო გადასახადი** გარდაახდევინოს იმ ხელოსნებსა და ვაჭრებსაც, რომელთაც სოფლებში ან სახელოსნოები აქვთ, ან სავაჭრო მაღაზიები და დუქნები, ან სამოსახლო ადგილები.

✦ კარგა ხანია ტფილისის გამგეობისა და ადმინისტრაციის შორის მიწერ-მოწერაა შესახებ იმ **ხარჯისა**, რომელიც **ტფილისის პოლიციას** უნდება. ნაწილი იმ **ხარჯისა**, რომელიც შეადგენს ას

ოთხმოც ათას მანეთამდე, ქალაქს დაევალა, თუმცა ქალაქის კასსა უნუგეშო მდგომარეობაშია. სახელმწიფო რჩევას განუხილავს შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგენილება ამის შესახებ და დაუდგენია, რომ იმ ხარჯში, რომელიც გადადებული უნდა იყოს ყოველ წლივ ტფილისის პოლიციის შესანახად, 179,900 მან., ტფილისის თვითმმართველობამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა: 1900 წ. 95,780 მ. უნდა გადაიხადოს, 1901 წ.—91,960 მ., 1902 წ.—87,940 მ., 1903—83,920 და 1904—79,900 მან.; ეს გარდაწყვეტილება უმაღლესად დამტკიცებული იქმნა.

✦ განზრახული **კავკასიის სამეურნეო გამოფენის** გამართვა დაჯდება, როგორც გამოუანგარიშებიათ, 80 ათას მანეთზე მეტი.

✦ სიღნაღისა, თელავისა და თიონეთის მაზრებში ამ ჟამად მეტად ვრცელდება **ყვავილი**. სენის წინააღმდეგ ზომების მიღებისთვის ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ გაგზავნა მაზრებში საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ ნი მაჰავარიანი.

✦ რუსეთის **საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას** წელს მიეცა 2000 მანეთი შემწეობა.

✦ სათანადო მთავრობის ბრძანებით ეხლა იკრიბება ცნობები იმის შესახებ, თუ რიმდენი დაიხარჯა შარშან ამიერ კავკასიის თითოეულ გუბერნიაში **კალიის და სხვა მავნებელ მწერების** ამოწყვეტის საქმისთვის და რამდენი იქმნება საჭირო ამ ბრძოლისთვის 1900 წელს.

✦ გზათა სამინისტროს შეუდგენია ახალი პროექტი იმის შესახებ, თუ ვის და რამდენი უნდა მიეცეს **უფასო ბილეთი** სახაზინო რკინის გზებით მოგზაურობისათვის. პროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს, და ამავე წლის განმავლობაში შემოღებულ იქმნება ახალი წესი.

✦ ფოთის ნავთ-სადგურის შუა მოლზე განზრახულია ააშენონ წელს ყველა საგემო საზოგადოებათა მგზავრთათვის საერთო **სადგური**. ამ შენობის აგება დაჯდება 7000 მანეთი.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზების მმართველობას გარდაუწყვეტია **გაფართოვებს** ქობულეთისა და რიონის სადგურების **შენობებისა**, რისთვისაც გადაუდვია 13,200 მანეთი.

✦ იმავე მმართველობას განუზრახავს **სადგური** კასპი გადაიტანოს ლიახვის მეორე ნაპირას. ეს გადატანა დაჯდება 25 ათას მანეთზე მეტი.

✦ **ქალაქს გარეთ** ბევრმა დაიწყო ადგილების ყიდვა და შენობების გაკეთება. რასაკვირველია, რომ მოკლე ხანში ეს ადგილებიც ქალაქის საზღვრებში მოჰყვება. რაკი ამ ჟამად იქაური მიწები უგეგმოთ არის დაყოფილი და შემდეგ ქალაქთან შეერთებისა შეიძლება გააუშნოოს ახალი ნაწილი, ამისათვის ქალაქის გამგეობამ, მიაქცია რა ყურადღება ამ გარემოებას, სთხოვა გუბერნატორს, რომ უგეგმოთ არ მისცეს შენობათა გაკეთების ნება. ამასთანავე ახლა დაევალა ინჟენერს შეადგინოს ანგარიში, თუ რამდენი მოუნდება ხარჯი ახლავე ამ ადგილების გეგმის შედგენას.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ყოველი თხოვნა, რომელიც ქალაქის გამგეობის სახელზე ეძლევა მორიგ მოხელეს გამგეობისას ხელმოწერილი იქმნას მთხოვნელის მიერ და ნაჩვენები იყოს ბინა (ქუჩა და სახლი), ხოლო თუ წერა არ იცის მთხოვნელმა, ამ შემთხვევაში სხვას უნდა მოაწერინოს, და თუ თხოვნა შეეხება მიწის მფლობელობის ოქმის მიღებას, სხვის მოწერილი გვარი და სახელი შემოწმებულ უნდა იქმნას ნოტარიუსის მიერ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუმტკიცებია **პროექტი ტფილისის სასასხლოს გადაკეთებისა**. 4 თებერვალს მოხდება ვაჭრობა სამუშაოთა იჯარით გაცემისთვის.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას გარდაუწყვეტია ამიერიდან ვრცლად შეადგინოს ხოლმე **წლიური ანგარიშები**: ფინანსიურ ანგარიშის გარდა, გამგეობა დაწვრილებით აღწერს ქალაქის მდგომარეობას ყოველ მხრივ: სწავლა-განათლებისა, ავადმყოფთა მკურნალობისა, ღარიბთა შეწევნის საქმეებს და სხვას.

✦ **ტფილისის ტრამვაის გზები** საძაგელ მდგომარეობაშია. ლიანდაგი განზე არის გასული ისე, რომ ხშირად ვაგონი ასცდება ხოლმე მათ და ქვებზე მირახრახებს. ქვები ან დაწეულია ან ამოცვივნული. ტფილისის გამგეობამ მისწერა ტრამვაის დირექტორს ბ-ნ რობის,—მიიღეთ ზომები და მალე გააკეთებინეთ გზებიო. რობიმ უპასუხა, რომ სიცივეებისა და ყინვების გამო არ შეიძლება საფუძვლიანად შეკეთება გზებისა, ხოლო რაკი გაზაფხულდება, გზებს მაშინ შევაკეთებო, ახლა კი საცა მოსახერხებელია ვაკეთებინებო.

✦ ოდესის უნივერსიტეტში არსდება **კათედრა ბიზანტიური ფილოლოგიისა**. ეს ფაქტი საგულისხმოა ქართველ ფილოლოგებისათვისაც, რადგანაც ბიზანტიის ლიტერატურას ვერც ერთი მკვლევარი ქართული ისტორიისა და ლიტერატურისა გვერდს ვერ აუვლის.

✦ „პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ყუბანის ოლქის ბატალპაშინის განყოფილების თავისუფალ **ადგილებზე დასახლებულ იქნენ** სამხედრო სამსახურში ნამყოფი გლეხები რუსეთის შიდა გუბერნიებისა. ეს თავისუფალი ადგილები ეკუთვნოდა ოსმალეთში გადასახლებულ ხუთის სოფლის მცხოვრებ მთიულებს.

✦ კვირას, 30 იანვარს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება ქართული **სამუსიკო და სასიმღერო საღამო** ხალხისთვის. მონაწილეობას იღებს ბ-ნი ფალიაშვილის რუსულ-ქართული ხორო და მუსიკის რამდენიმე მოყვარულნი. დასაწყისი $7^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი 5 კაპ.

✦ ქალაქის გამგეობამ დაავალა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს წარედგინა გამგეობისათვის ნიხრი ლაბორატორიაში ანალიზების გაკეთებისა. ეს ნიხრი უკვე შეადგინა ლაბორატორიის ქიმიკმა და წარუდგინა ტფილისის გამგეობას.

✦ ტფილისის გამგეობამ რაკი დაარსა ბაკი, რომლის გარედ აღკრძალულია ოთხფეხი საქონლის გაყიდვა, ამის შესახებ გამოსცა სავალდებულო წესდება. გარდა ამისა ტფილისის გამგეობამ შეადგინა წესდება, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ იქ ვაჭრობის დროს. ეს წესები წარედგინა მთავარ-მართებელს დასამტკიცებლად, რომელმაც დაამტკიცა და მისწერა გუბერნატორს თავისი გარდაწყვეტილება.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**26 იანვარი** *)

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ მიიღო ცნობა რობერტსისაგან, რომ ბრძოლის ველზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

*) მიღებულია ღამის 12 საათზე.

**კაპშტადტი.** ლედისმიტის არავითარი ცნობა არ მოსულა ბულლერის მიერ მდ. ტუგელის მეორე ნაპირზე გასვლის შესახებ.

**პრეტორია.** კოლსბერგიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ბრიტანელთა ჯარი მიუახლოვდა ახტერფანგს შვიდი მილის მანძილზე.

**ფრენსბურგი.** შენიშნულ იქმნა, რომ დღეს ბურები მუშაობდნენ ახალის პოზიციის გამაგრებისთვის; ინგლისელებმა განდევნეს ისინი ამ ადგილიდან ზარბაზნების სროლით.

**ლონდონი.** დღეს ჯონ რედმონდი ერთხმად იქმნა არჩეული ირლანდიის ნაციონალისტთა მეთაურად.

პალატა. სტატს-სეკრეტარი უინტგენი აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით მთავრობა არ ჰფიქრობს ინდოეთში და სამხრეთ-აფრიკაში გაგზავნილ ჯარების მაგიერ შეადგინოს ახალი რაზმები. ბალფური ამბობს, რომ სურსათი საზოგადოდ არასოდეს არ უცვნია ინგლისს სამხედრო კონტრაბანდათ; მაგრამ ის სურსათი, რომელიც ეგზავნება მტრის ჯარს, საერთაშორისო კანონებით ცნობილია კონტრაბანდათ. დილლონი კითხულობს: რა საბუთების ძალით გარდასწყდა ეს საკითხიო? ბალფური უპასუხებს, რომ პრაქტიკული მხარე საკითხისა ყოველ ცალკე შემთხვევის დროს სასამართლომ უნდა განიხილოსო. შემდეგ დილლონი ჰკითხულობს: გარდაწყვეტილი აქვს მთავრობას უბრძანოს ყველა გემთა უფროსებს, რომ მათ დააკავონ ხოლმე უცხო სახელმწიფოთა გემები ლორენცო-მარკეზესკენ მიმავალნი, სანამ არ გამოირკვევა, თუ რით არიან დატვირთულნი ეს გემები? ბალფური უპასუხებს, რომ ამ საგნის შესახებ ის ვერაფერს იტყვის.

**ჰელსინგფორსი.** რადგანაც აღმოჩნდა, რომ სასტუმროების პატრონები არც სასმელ-საჭმელს და არც სადგომს არ აძლევენ მათ, ვისაც ამის უფლება აქვს, გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა ჰელსინგფორსის გუბერნატორს გადასინჯოს არსებული პოლიციური წესები და შეუთანხმოს ისინი ცხოვრების ახალ ვითარებას, რათა ამით დამკვიდრებულ იქმნას ქალაქში მეტი წესრიგი.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკი კითხულობს სპარსეთის ახალ გამოცემულის სესხის პირობებს და ამბობს: „ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, ვითომ

არსებობდეს რაიმე ხელ-შეკრულება იმის შესახებ, რომ ბენდერ-აბასის დამოქნის შემოსავალი რუსეთისთვის გირაოდ იქმნას გადადებული". ასკვიტი ამბობს, რომ ინგლისის მთავრობას არ ჰქონდა არც სურვილი და არც განზრახვა ომი დაეწყო; კრიუგერს შეეძლო თავიდან აეცილებინა ომი. ჩვენ მიერ წარდგენილი წინადადებანი მან არ მიიღო და ამას მოჰყვა ინგლისის ტერრიტორიაზე შემოსვლა და მისი შემოერთებაც. ჩვენ გვრწამს მოვალეობა და აუცილებლობა ომის განრძობისა და ამასთანავე ჩვენ უნდა დავანახოთ ქვეყანას ერთსულობა, რომელიც სუფევს როგორც პარლამენტში, ისე თვით ერშიაც (მოწონების ხმები). მიზანი, რომლისაკენ ჩვენ უნდა ვილტოდეთ, მდგომარეობს კითხვის იმგვარ გარდაწყვეტაში, რომ სამხრეთ-აფრიკის ორივე ტომს თანასწორი უფლება ექმნეს. სახელმძღვანელო პრინციპად უნდა იქმნას აღიარებული თანასწორობა და არა უპირატესობა.

დასასრულ, ფიცმორისის წინადადება, რომ მთავრობა გაკიცხულ იქმნასო, უარყოფილ იქმნა 352 ხმით წინააღმდეგ 139-სა.

**ლონდონი.** ბურების ბანაკიდან მდ. მოდერს-პრუიტზე, ლედი-სმიტთან, იტყობინებიან, რომ 24 იანვრის დილის 5 საათიდან ზარბაზნების განუწყვეტელი სროლაა.

**ვენა.** გაზ. „Neue Freie Presse“-ის სიტყვით, ფეოდალებისა და მლადო-ჩეხების წარმომადგენელთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რადგანაც პირველებმა არ შეიწყნარეს ის განცხადება, რომელიც გუშინ მლადო-ჩეხების სახელით წარადგინა ენგელმა ჩეხთა და მორავთა საქმეების კომისიაში. როგორც იგივე გაზეთი ამბობს, ეგერის გერმანელ რადიკალთა კავშირის დეპუტატებმა წარუდგინეს მინისტრ-პრეზიდენტს განცხადება, რომლითაც თხოულობენ — დაცულ იქმნას ეგერის კავშირის დამოუკიდებლობა ჩეხისაგან და რომელშიაც წინააღმდეგობას აცხადებენ ჩეხურ ენის შემოღებისათვის ეგერისა და რახის ოლქებში.

**ამსტერდამი.** ნიდერლანდიის ბანკმა დასწია დისკონტი ოთხიდან $3\frac{1}{2}$ პროცენტზე.

**26 იანვარი** *)

**ბრიუსელი.** ბრიუსელის ბანკმა დასწია დისკონტი $4\frac{1}{2}$ პროცენტიდან ოთხამდე.

**პეტერბურგი.** გაიხსნა ჰიდროტეხნიკთა და რუსეთის მდინარეებზე მიმოსვლის მოღვაწეთა კრება.

*) მიღებულია 27 იანვარს.

**ლონდონი.** გაზეთ „სტანდარტ“-ს ატყობინებენ 24 იანვრის კოპიესდამიდან, რომ გენერალი მაკდონალდი მოდდერ-რივერის ბანაკიდან დუგლასში დროზე მოვიდა გეიგლენდერთა ბრიგადით, არტილერიის ბატარეით და ულანთა პოლკით და ბურების ორს ძლიერს რაზმს აღარ დააცალა, რომ შეერთებულიყვნენ. ამ ჟამად მისი ჯარები დაიჭერენ მდინარის ორსავე ნაპირს. ავანპოსტთა შორის სროლა უკვე იყო.

**ლონდონი.** ქვედა პალატა. კომპაბელ ბანნერმანმა თავის სიტყვა დაასრულა იმით, რომ გამოესარჩლა ოპოზიციას და ამტკიცებდა, რომ ოპოზიციას უფლება აქვს მმართებლობა გაჰკიცხოს, რადგან ინგლისს საშიში არა მოელის რა მტრებისაგან და სახელმწიფო არა თუ სრულებით არ არის დამცირებული, არამედ საუცხოოდ იქცევა. ოპოზიციას ჰსურს, რომ ომი მალე დასრულდეს, სამხრეთ-აფრიკაში მშვიდობიანობა, თანხმობა და პოლიტიკური თანასწორობა დამყარდეს, რომ შემდეგ ამ ქვეყანაში აღარ შეიძლებოდეს შეიარაღებული შემოსევა და ერთის ერის მეორეზე უპირატესობა. ბალფური ამბობს, რომ მმართველობის განკიცხვა ჩემბერლენის განკიცხვაა, ხოლო ჩემბერლენი ისე მაღლა სდგას, რომ განკიცხვა მას ვერ მიწვდება, რადგან მხოლოდ მის დროს პირველად შეიგნო დიდმა ბრიტანიამ — რა არის იგი და რა არის მისი დანიშნულება; მის ნიჭს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ყველა კოლონიები შეერთდნენ, რათა მეტროპოლიას დაეხმარონ ბრძოლაში.

ტრანსვაალის ელჩი ლეიდსი და მისი მდივანი იუნგერ-გებენი 27 იანვარს მიდიან ბერლინიდან.

**კაპშტადტი.** ფელდმარშალი რობერტსი და გენ. კიტჩენერი კაპშტადტიდან გავიდენ.

**ლისსაბონი.** ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია, რომ ოპორტოში შავი ჭირი აღარ არის და ამიტომ ნება მიეცათ გემებს თავისუფალი მიმოსვლისა.

**27 იანვარი**

**პეტერბურგი.** კავკასიის მე-5-ე მსროლელთა ბატალიონმა მიიღო ბრძანება ამიერიდან ეწოდებოდეს — კავკასიის მე-5 მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძის ბატალიონი.

ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორად დანიშნულ იქმნა გენერალ-მაიორი სამოილოვი.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება და უბოძა პრინცს ალექსანდრე პეტრეს ძეს ოლდენბურგსკის და პოლკოვნიკს თავადს ორბელიანს წოდება ასტრახანის გუბერნიის ქალაქ ცარევის საპატიო მოქალაქისა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენ.“ სამხედრო ამინისტრო კვლავ იუწყება, რომ ბულლერი 26 იანვარს ხელ-ახლად გავიდა მდინარე ტუგელის მეორე ნაპირზე და ლედი-სმიტის გზას დაადგა.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს ცნობას, ბულლერის ჯარის მდინარე ტუგელზე გადასვლისას, უმატებენ, რომ მოქმედება არ შეწყვეტილა, მაგრამ შედეგის შესახებ არავითარი ცნობა არ არის მოსულიო.

**ბურების ბანაკიდან ლედი-სმიტთან.** გუშინდელს აქეთ ბრიტანიის ჯარები ესვრიან საზღვაო და სხვა ზარბაზნებიდან ბურების პოზიციებს ზემო ტუგელზედ. ბრიტანიის ჯარი პონტდრაფტთან და მოლენდრიფტთან გადავიდა მდინარეს იმ განზრახვით, რომ იერიში მიეტანა მტრის პოზიციაზე პონტდრიფტთან; მაგრამ გენ. ბურგერმა უკუ აქცია ისინი და იძულებულ ჰყო უკანვე გადასულიყვნენ მდინარის მეორე მხარეზედ. მოლენდრიფთან არ შეწყვეტილა ბრძოლა კენდერტოკის და იოჰანნესბურგის ბურებთან. ბურებს ზარალი არ უნახავთ. არც ერთ აქამდის მომხდარ ბრძოლაში არ უხმარიათ ამდენი ზარბაზნები და ასეთი ძლიერი ბრძოლაც ჯერ არ ყოფილა.

ზარბაზნების გრიალი მთელი დღე ისმოდა. დღეს, დილით, სროლა დაიწყეს უფრო მეტ ზარბაზნებიდან. გუშინდელ სროლაში ტუგელზედ ინგლისელებმა პონტდრიფტთან ძალიანბევრი ჯარი დაჰკარგეს. მოლენდრიფტთან მათ დაიჭირეს უმნიშვნელო გორაკი. დაკარგულთა რიცხვი ჯერ არ იციან. ორანჟეს ბურებს მოუკლეს ოთხი. ზარბაზნის სროლა თან და თან სუსტდება.

**ლონდონი.** პალატა როსსილი ლაპარაკობს რედმონტის წინააღმდეგ, რომელიც ურჩევს დათობს იმ დროს, როდესაც მტერი ჯერ ისევ ბრიტანიის სამფლობელოშია. პალატა არ ისურვებს ბაიუბის დამარცხების განმეორებას და დაყრას იარაღისას ისე სამარცხვინოთ, როგორც 1881 წ. დასასრულ რედმონდის წინადადება უარ-ჰყო პალატამ 368 ხმით. წინააღმდეგ 66.

**პეკინი.** ეხლა ყველა ჰფიქრობს, რომ დედოფალი ვერ გაბედავს იმპერატორის გადაყენებას, რადგანაც ასეთს საქციელს წინააღუდგება მთელი სამხრეთი ჩინეთიო.

**პარიზი.** შესახებ გარეშე პოლიტიკის ამბებისა, „ფიგარო“-ს თანამშრომელი ვისტი სწერს: „მე ამ დღეებში აღვნიშნე რუსეთის იმპერატორის რესკრიპტი გარეშე საქმეთა მინისტრის მიმართ, რომელშიაც გამოთქმულია ქება მისი გონივრული და მოხერხებული მოქმედებისა. იმპარატორის მიერ გამოთქმულ ქებათა შორის, პირველი ადგილი უჭირავს მადლობას მოხერხებულ მოქმედებისათვის რუსეთ-ჩინეთის საქმეებზე მოლაპარაკების დროს, რომელმაც მისცა რუსეთს საშუალება დაემყარებინა თავისი ზედ-გავლენა. აღმოსავლეთში. როდესაც დაიწყო ინგლისის-ტრანსვაალის ომი, რუსეთი უკვე დიდ წარმატებაში იყო და მას შემდეგ რუსეთის დიპლომატიამ მოიხვეჭა შესამჩნევი გამარჯვება.

სპარსეთშიაც ინგლისი თავის დიდის ხნის ჩვეულებისამებრ მისდევდა იმ მიმართულებას, რომ მოემზადებინა ნიადაგი ინგლისის ყოვლად გასაძლიერებლად და ამის გულიმათვის ყოველ დღე და ყოველ საათს ებრძოლნა რუსეთთან, მაგრამ ბრძნულმა მოქმედებამ რუსეთის მმართველობისამ დაამხო ინგლისელებთა ყოველი ანგარიში სპარსეთში. დასასრულ ვისტი ამბობს: „ხვალ რომ ეგვიპტეში მოხდეს რამე, მაშინ ვნახავდით, რაღა შერჩებოდა ინგლისის ძლიერებას იმ საზღვრებში, რომელნიც როგორც გვარწმუნებენ, დაცულ არიან ყოველ შემთხვევისაგან“.

**ლონდონი.** პალატა. ადრესის ტექსტის შესახებ კამათის გაგრძელება. რედმონდს შეაქვს ირლანდიელ ნაციონალისტების წინადადება, რომელიც გამოსთქვამს სურვილს, რომ ომი დაბოლოვდეს და ორივე რესპუბლიკა განთავისუფლებულ იქმნას. რედმონდი აცხადებს, რომ ირლანდიელების სიმატია ბურების მხარეზეა, რადგანაც ისინი იბრძვიან სამართლისა და თავისუფლებისათვის. თუმცა ირლანდიელნი სრულიად კმაყოფილნი არიან იმ გაჭირვების ცქერით, რომელშიაც ეხლა ინგლისელები არიან ჩავარდნილნი, მაგრამ მიუხედავად ამის, იმათი აზრი ომის შესახებ ამაზე არ არის დამოკიდებული. ორატორი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ მთელი ქვეყანა უსამართლოდ სთვლის და სწყევლის ამ ომს. ინგლისი იმყოფება არამც თუ ბრწყინვალე, არამედ სამარცხვინო განცალკევებულ

მდგომარეობაში და ერთად-ერთი ოსმალეთი უყურებს მას მოწყალების თვალით (ირლანდიელები კმაყოფილების ნიშნად ტაშსა სცემენ).

**ბომბეი.** გარდაცვალებულთა რიცხვი გუშინ 408-დის ავიდა. ვრცელდება სხვა ავადმყოფობებიც; ავადმყოფობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ აქ მოდიან ყველა დამშეულ კუთხების მცხოვრებნი.

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

# ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

## საკალენდარო ცნობები

**პარასკევი,** 28 იანვარი; ახალი სტილით 9 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 338 დღე. მთვარის მე-12 დღე. ხსენება ღირსისა მამისა ეფრემ ასურელისა, თეოდორესი და პალადისა.

**შაბათი,** 29 იანვარი; ახალი სტილით 10 იანვარი. წლის დასრულებამდე დარჩა 337 დღე. მთვარის მე 13 დღე. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მღვდელ მოწ. ეგნატე ღმერთ შემოსილისა; ხსენება ღირსისა გერასიმისა, ლავრენტისა და იონასი.

შემდეგი უქმე დღე—2 თებერვალს, მირქმა უფლისა ჩვენისა.

---

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | — 9 კ. | |
| სუკი . . . . . | 1 „ | —15 კ. | |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 კ. | |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 კ. | |
| „ ღორისა . . | „ „ | — 8 კ. | |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. | 1 „ | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამლა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3½ „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

---

## რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 ,, | 25 ,, |
| № 1—8 ,, | 50 ,, | № 5—7 ,, | — ,, |
| № 2—8 ,, | — ., | № 6—6 ,, | 75 ,, |
| № 3—7 ,, | 50 ,, | № 7—6 ,, | 25 ,, |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 კ. 46 კ.
ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.
მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
,, ფშხვნილი ,, 4 ,, 80 ,,
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მამ.-60დე.

---

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | ფუთი | მ. | კ. | ვოკზალზე: მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| დორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უცრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშ რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ., შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი თათრული 3 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 30 მ.-დამ 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ ც4 მან. შესაბმელი —

---

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში - 60 მ. თვ.

—

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანიძ ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

—

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

—

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

—

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

—

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

—

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

—

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

—

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

—

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 5 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ.. 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ., მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

---


# Открыта подписка на 1900 годъ

на Литературный, Научный и Политическій ежемѣсячный журналъ

IV Годъ изданія. **„ЖИЗНЬ“.** IV Годъ изданія.

**Подписная цѣна 7 рублей въ годъ**

съ доставкой и пересылкой.

Журналъ выходитъ **ежемѣсячно** книжками отъ 25 до 30 печатныхъ листовъ. Въ каждой книжкѣ помѣщаются иллюстраціи, отпечатанныя на отдѣльныхъ листахъ слоновой бумаги.

**Въ журналѣ ближайшее участіе принимаетъ М. ГОРЬКІЙ.**

Въ теченіе 1900 года предполагается помѣстить, между прочимъ, слѣдующія беллетристическія произведенія: Больная кровь. Романъ К. С. Баранцевича. Мужикъ. Повѣсть М. Горькаго —Дачники. Очерки Его же.—Рядъ разсказовъ Его же.—Изъ лѣтнихъ встрѣчъ. Очерки В. Вересаева.—Рядъ разсказовъ Е. Чирикова.—Повѣсти В. Л. Сѣрошевскаго и Ант. П. Чехова—Сумерки духа. Романъ З. Гиппіусъ.—Воскресники. повѣсть В. Я. Муринова.—Контрасты. Романъ изъ лондонской жизни. Р. Уайтинга.—Броженіе. Романъ изъ парижской жизни Эстонье и друг.

Кромѣ того въ беллетристическомъ отдѣлѣ обѣщали свое участіе М. Н. Альбовъ, К. Д. Бальмонтъ, И. А. Бунинъ, А. А. Вербицкая, Л. Я. Гуревичъ, К. Ельцова, А. А. Крандіевская, А. А. Луговой, Д. С. Мережковскій, А. П. Мертваго, Вас. Ив. Немировичъ-Данченко, Н. А. Танъ, Н. Д. Телешовъ, Н. И. Тимковскій, В. Я. Свѣтловъ, Алекс. С. Шабельская и др.

Въ отдѣлѣ критики и исторіи литературы принимаютъ ближайшее участіе Д. Н. Овсянико-Куликовскій и Е. А. Соловьевъ.

Въ научномъ отдѣлѣ будетъ помѣщенъ рядъ статей *русскихъ и иностранныхъ* ученыхъ по естествознанію, философіи, исторіи, обществовѣдѣнію и т. д. Въ этомъ отдѣлѣ редакція стремится ознакомить читателей съ новѣйшими научными теченіями.

Ставя одной изъ своихъ задачъ популяризацію искусства, редакція помѣститъ въ будущемъ году на страницахъ „Жизни“ обстоятельныя характеристики Микель-Анжело, Леонардо-да-Винчи и Рафаэля со множествомъ иллюстрацій, клише для которыхъ приготовляются за-границей. Въ художественномъ отдѣлѣ ближайшее участіе принимаетъ П. Н. Ге.

Постоянные отдѣлы: Очерки современной русской литературы Андреевича.—Библіографія (обстоятельные отзывы о русскихъ и иностранныхъ книгахъ).—Изъ области знанія и жизни.—На темы дня Д. Д. Протопопова.—Хроника внутренней жизни —Провинціальныя картинки Е. Чирикова.—Иностранное обозрѣніе В. П.—Новости иностранной литературы Л. Гуревичъ.—Письма изъ-за границы: изъ Франціи Е. Смирнова, изъ Англіи Д. Сатурина, изъ Бельгіи Г. Лагорделля, изъ Германіи А. Коврова, изъ Италіи Артура Лабріола, из Австріи П. Звѣздича, изъ Сѣверо-Ам. Соединенныхъ Штатовъ И. Гуревича, съ Балканскаго полуострова Діонисія Григорьева и т. д.—Письма изъ провинціи. Годовые подписчики получатъ въ видѣ безплатнаго приложенія переводный романъ, напечатанный отдѣльной книгой.

Для подписывающихся черезъ главную контору допускается разсрочка отъ 1 рубля въ мѣсяцъ.

Главная контора и редакція: С.-Петербургъ, Знамен. № 20.

Отдѣленіе конторы въ Москвѣ: Бальшая никитская, д. № 23, книжный складъ О. Н. ПОПОВОЙ.

Редакторъ-издатель *М. С. Ермолаевъ.*

С.-Петербургъ, Знаменская, д. № 20.

Въ каждой книгѣ помѣщаются иллюстраціи и портреты на отдѣльныхъ листахъ слоновой или мѣловой бумаги.

Допускается разсрочка отъ одного рубля въ мѣсяцъ.

(მ. 5—1)


გამომცემელი გალ. ჯუღელი